

სარისკო კაპიტალის ინვესტირების პროგრამა (VCIP) II

მდებარეობა:
რეგიონალური

პროექტის ნომერი:
50118

ბიზნეს სექტორი:
საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

შეტყობინების ტიპი:
კონფიდენციალური

გარემოს დაცვის კატეგორია:
FW

საბჭოზე გატანის თარიღი:
23 მაისი, 2018

სტატუსი:
კვლევის ეტაპი

პროექტის მოკლე ანოტაციის
ინგლისურად გამოქვეყნების თარიღი:
24 აპრილი, 2018

პროექტის აღწერა

EBRD, სარისკო კაპიტალის ინვესტირების II პროგრამის საშუალებით (VCIP II არის არსებული პროგრამის VCIP-ის გაგრძელება და ამ სტრუქტურის ფარგლებში გამოყოფილია 100 მილიონი ევრო), ინვესტიციებს განახორციელებს ადრეული განვითარების ეტაპზე მყოფ ტექნოლოგიურ კომპანიებში სააქციო და სააქციო კაპიტალთან დაკავშირებული ინსტრუმენტების (ინვესტიციების მოცულობა 15 მილიონ ევრომდე) საშუალებით, ბანკის საქმიანობის ქვეყნებში, სარისკო კაპიტალის გამოცდილ თანაინვესტორებთან ერთად.

ინვესტიციების სამიზნეს წარმოადგენენ ინოვაციური და სწრაფად მზარდი მცირე და საშუალო ზომის კომპანიები, რომლებსაც ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სარისკო კაპიტალის თემის რესურსებზე, რაც ამ მხრივ, ბაზარზე არსებული დეფიციტის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

პროექტის მიზნები

i) VCIP საშუალებას აძლევს ბანკს გაიმყაროს რეგიონის ეკონომიკის ცოდნა, განავითაროს ტექნოლოგიების ეკოსისტემები და ხელი შეუწყოს ინოვაციებს. ii) ბანკი, VCIP-ის საშუალებით, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სარისკო კაპიტალის მხრივ რეგიონში არსებული დეფიციტის შევსების კუთხით. iii) VCIP საშუალებას აძლევს ბანკს შეინარჩუნოს პორტფელური მიდგომა მაღალი რისკის/მაღალი მოგების საინვესტიციო შესაძლებლობებისადმი.

შუალედური შედეგი

VCIP II-ის სტრუქტურა ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი და გამძლე გარდამავალი თვისებების განვითარებას, რადგან ის მხარს დაუჭერს ბოლო დროს ჩამოყალიბებულ ინოვაციური ტექნოლოგიების კომპანიების განვითარებას, ასევე, ხელს შეუწყობს სარისკო კაპიტალზე გაუმჯობესებულ წვდომას, რომელიც ჯერ კიდევ შედარებით მცირეა EBRD-ის რეგიონში. VCIP II-ის სტრუქტურა პირველი VCIP I-ის წარმატებულ გამოცდილებას დაეფუძნება და EBRD-ის რეგიონში ცოდნის ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვან მხარდაჭერას უზრუნველყოფს EBRD-ის ცოდნის ეკონომიკის ინიციატივის შესაბამისად, კერძოდ, ნაკადი 3 - მცირე ტექნოლოგიური კომპანიების შემთხვევაში.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

გასხვავდება პროექტიდან გამომდინარე.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

100,000,000.00 ევრო

პროექტის მთლიანი ღირებულება

100,000,000.00 ევრო

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

თავად სტრუქტურას არ აქვს კატეგორია მინიჭებული ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის (ESP) ფარგლებში (2014), თუმცა, თითოეულ ქვე-პროექტს მიენიჭება კატეგორია ცალ-ცალკე და გაივლის ინდივიდუალურ გარემოს დაცვისა და სოციალურ კვლევას (ESDD) და თითოეული პროექტი და კლიენტი დაექვემდებარება GET შემოწმებას ინდივიდუალურად. ქვე-პროექტის

კატეგორიიდან გამომდინარე, შესაბამისი ESDD დაადასტურებს, რომ თითოეული ქვე-პროექტი დაგეგმილია ბანკის შესრულების მოთხოვნების შესაბამისად.

ტექნიკური თანამშრომლობა

არ იგეგმება.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ბაზრომ იბრაგიმოვი
02073386000

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობების ან შესყიდვებისთვის, დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

სახელმწიფო სექტორის პროექტებისთვის, იხილეთ [EBRD შესყიდვები](#) : ტელ: +44 20 7338 6794

ელექტრონული ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი ინფორმაციის მიღების მიზნით

EBRD-ის პროექტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული შესყიდვებთან:

ტელ: +44 20 7338 7168; ელექტრონული ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

საჯარო ინფორმაციის შესახებ პოლიტიკა (PIP)

PIP განსაზღვრავს, თუ როგორ უზრუნველყოფს EBRD ინფორმაციის გამჟღავნებას მონაწილე მხარეებისთვის, რათა ხელი შეუწყოს მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და ოპერაციების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. თუ შეიძლება ეწვიეთ საჯარო ინფორმაციის შესახებ პოლიტიკის გვერდს, რომელიც ქვემოთაა მითითებული, რათა გაეცნოთ, თუ როგორ მოითხოვთ საჯარო სექტორის საბჭოს ანგარიში.

[PIP-ს ტექსტი](#)

პროექტების ფარგლებში საჩივრების წარდგენის მექანიზმი (PCM)

პროექტების საჩივრების წარდგენის მექანიზმი (PCM) არის EBRD-ის ანგარიშგების მექანიზმი. მოცემული მექანიზმი ითვალისწინებს კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ EBRD-ის დაფინანსებით განხორციელებული პროექტების შესახებ წარდგენილი საჩივრების დამოუკიდებელ განხილვას, რომლებმაც

სავარაუდოდ, გამოიწვიეს, ან შეუძლიათ გამოიწვიონ გარემოსდაცვითი/ან სოციალური ზიანი.

იხილეთ [პროექტების საჩივრების წარდგენის მექანიზმის](#) (PCM) გვერდი, რათა გაიგოთ, თუ როგორ წარადგინოთ საჩივარი. PCM-ის ოფიცერი (pcm@ebrd.com) ხელმისაწვდომია თქვენს ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას წარდგენილი საჩივარი, და რა კრიტერიუმები არსებობს მის რეგისტრაციასა და დასაშვებობასთან დაკავშირებით, [PCM-ის პროცედურული წესების შესაბამისად](#).